სსე-სათვის პრეისკურანტით ა/მანქანა სახ.№HG220GH VW Multivan 2,0 TDI 4Motion-ის საგარანტიო ტექნიკური მომსახურება (სერვისი სათადარიგო ნაწილებით) შესყიდვა. ,,მიმწოდებელი" შპს „იბერია ავტო"

ხელშეკრულება # 60-7-219-180

ქ. თბილისი

2019 წ. 12.02

I. მხარეები

1.1 წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია 2019 წლის ---12.02---, ერთის მხრივ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა", წარმოდგენილი მისი მმართველთა საბჭოს წევრის დავით ვარდიაშვილის (მინდობილობა N181378706) სახით (შემდგომში – ,,შემსყიდველი") და მეორეს მხრივ შპს „იბერია ავტო"-ს (შემდგომში–,,მიმწოდებელი") შორის, წარმოდგენილი დირექტორის ალექსანდრე ხუციშვილის სახით, რომლებიც მოქმედებენ საზოგადოების წესდებისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

II.ხელშეკრულების საგანი

2.1. ,,მიმწოდებელი" ვალდებულია ,,შემსყიდველს" მიაწოდოს საქონელი (თანმდევი მომსახურებით) CPV 50110000) დანართი #1-ის (ფასების ცხრილი) შესაბამისად.

2.2 დანართი #1 წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2.3 წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო სახელმწიფო შესყიდვის შესახებ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის თ) ქვეპუნქტის შესაბამისად.

III.საქონლის ღირებულება და ანგარიშსწორების პირობები

3.1 ავტომანქანის (სახ.№HG220GH VW Multivan 2,0 TDI 4Motion) ტექნიკური მომსახურების (სერვისი სათადარიგო ნაწილებით) სახელშეკრულებო ღირებულება დღგ-ს ჩათვლით შეადგენს **5000 (ხუთი ათასი)** ლარს (შემდგომში – ,,ხელშეკრულების ღირებულება"). ავტომანქანის (სახ.№HG220GH VW Multivan 2,0 TDI 4Motion) ტექნიკური მომსახურების (სერვისი სათადარიგო ნაწილებით) პრეისკურანტის საერთო ღირებულება განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართი #1-ის (ფასების ცხრილი) შესაბამისად და შეადგენს **30001(ოცდაათი ათას ერთი)** ლარს დღგ–ს ჩათვლით. ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურების (სერვისი სათადარიგო ნაწილებით) ღირებულება ითვალისწინებს ყველა ხარჯს, მათ შორის: საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახდს.

3.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, ფაქტიურად შესრულებული მოცულობის მიხედვით გაწეულ ტექნიკურ მომსახურებაზე (სერვისი სათადარიგო ნაწილებით) მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან 8(რვა)სამუშაო დღის განმავლობაში.

3.3 ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

IV. მხარეთა უფლება-მოვალეობები

4.1. "მიმწოდებელი" მოვალეა გაუწიოს ,,შემსყიდველს" ავტომანქანის (სახ.№HG220GH VW Multivan 2,0 TDI 4Motion) ტექნიკური მომსახურება (სერვისი სათადარიგო ნაწილებით) წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

4.2 ,,მიმწოდებელი" ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ტექნიკური მომსახურება (სერვისი სათადარიგო ნაწილებით) განახორციელოს ხარისხიანად და არსებული სტანდარტების შესაბამისად.

4.3 წინამდებარე ხელშეკრულების დანართი #1(ფასების ცხრილი)-ში მოცემული ავტონაწილები უნდა იყოს ქარხნული ორიგინალი.

4.4 "შემსყიდველი" მოვალეა:

4.4.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების თანახმად გადაიხადოს ავტომანქანის (სახ.№HG220GH VW Multivan 2,0 TDI 4Motion) ფაქტიურად გაწეული ტექნიკური მომსახურების (სერვისი სათადარიგო ნაწილებით) ღირებულება;

4.4.2 წერილობით შეატყობინოს "მიმწოდებელს" მიღების ან ექსპლუატაციის დროს გაწეულ მომსახურებაზე შემჩნეული ნაკლის აღმოჩენისთანავე. „მიმწოდებელი" ვალდებულია აღმოჩენილი ხარვეზი აღმოფხვრას მის ტერიტორიაზე ავტომანქანის მიყვანიდან გინივრულ ვადაში.

4.5 ,,შემსყიდველი" უფლებამოსილია ,,მიმწოდებლისგან" მოითხოვოს სრული ინფორმაცია შესასრულებელი ავტომანქანის (სახ.№HG220GH VW Multivan 2,0 TDI 4Motion) ტექნიკური მომსახურების (სერვისი სათადარიგო ნაწილებით) მიმდინარეობის შესახებ.

V. გასაწევი მომსახურების ვადა და ადგილი

5.1. სარეგლამენტო სამუშაოებზე (დანართი #1, ფასების ცხრილი #1-ს შესაბამისად) მომსახურების გაწევა მოხდება ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ,,შემსყიდველის" მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალების ,,მიმწოდებლის" სერვის ცენტრში მიყვანიდან ან/და დეფექტური აქტების შედგენიდან 1 (ერთი) სამუშაო დღის ვადაში. იმ შემთხვევაში, თუკი ავტოტექნიკური მომსახურების სრულყოფილად გასაწევად საჭირო სათადარიგო ნაწილი არ აღმოჩნდება მიმწოდებლის საწყობში, მომსახურების ვადა გადაიწევს იმ ვადით, რაც საჭირო იქნება აღნიშნული სათადარიგო დეტალის/ნაწილის მიღებას მწარმოებლის (ს.ს. ფოლკსვაგენი) საწყობიდან. რაზედაც წარმოდგენილი იქნება შეკვეთის განაცხადი.

5.2 ტექნიკური მომსახურების (სერვისი სათადარიგო ნაწილებით) გაწევის ადგილია: „მიმწოდებლის" სერვის ცენტრი. ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №197.

VI. საგარანტიო ვადები:

6.1. "მიმწოდებელი" იძლევა გარანტიას, რომ გაწეული მომსახურება მისი ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში, არ გამოავლენს დეფექტებს.

6.2. ,,მიმწოდებლის" მიერ ,,სსე"-ს კუთვნილ ავტომანქანაზე (სახ.№HG220GH VW Multivan 2,0 TDI 4Motion) გაწეული ტექნიკურ მომსახურების (სერვისი სათადარიგო ნაწილებით) და შეცვლილი ნაწილების საგარანტიო ვადა არის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან 2(ორი) წელი ნორმალური ექსპლუატაციის შემთხვევაში, გარდა სწრაფ ცვეთადი დეტალებისა.

6.3 საგარანტიო ვადის განმავლობაში თუ გამოვლინდება რაიმე ხარვეზი ან შეუსაბამობა, "მიმწოდებელი" ვალდებულია თავისი ხარჯებით აღმოფხვრას აღმოჩენილი წუნი და მისგან გამოწვეული დაზიანება ,,შემსყიდველის" წერილობითი შეტყობინების მიღებიდან გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 25(ოცდახუთი) სამუშაო დღეში.

VII. მხარეთა პასუხისმგებლობა

7.1 ,,მიმწოდებლის" მიზეზით მომსახურების დაგვიანებით, არასრულად, ხარვეზით ან საერთოდ არ გაწევის შემთხვევაში, ,,მიმწოდებელი" მოვალეა გადაიხადოს პირგასამტეხლო შეუსრულებელი მომსახურების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადა გადაცილებულ დღეზე, მომსახურების ჯეროვნად და სრულად გაწევამდე ან ხელშეკრულების შეწყვეტის დღემდე, რომელი ვადაც უფრო ადრე დადგება.

7.2 ამ ხელშეკრულების 7.1 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო "მიმწოდებელს" გადასახდელად დაერიცხება აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ ,,მიმწოდებელი" არ გამოასწორებს საგარანტიო პერიოდის განმავლობაში გამოვლენილ ხარვეზს ამ ხელშეკრულებით საგარანტიო პერიოდში გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორებისთვის დადგენილ ვადებში - შესატყვისი ვადის გასვლიდან ხარვეზის გამოსწორების დღემდე ან ხელშეკრულების შეწყვეტის დღემდე, რომელი ვადაც უფრო ადრე დადგება.

7.3 „შემსყიდველის" მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფაქტიურად შესრულებული მომსახურების ღირებულების ვადაგადაცილებით (არადროულად) გადახდის შემთხვევაში, ,,მიმწოდებელი" უფლებამოსილია მოსთხოვოს ,,შემსყიდველს" პირგასამტეხლოს გადახდა გადაუხდელი თანხის 0.1% ოდენობით ყოველ ვადა გადაცილებულ დღეზე წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტამდე, ან თანხის სრულად გადახდამდე, რომელი ვადაც უფრო ადრე დადგება.

7.4 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ცალმხრივად შეუსრულებლობისათვის მხარეებს ეკისრებათ ვალდებულება აანაზღაურონ მიყენებული ზარალი სრული მოცულობით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ზარალის ანაზღაურება ან მისი მოთხოვნა არ აჩერებს ამ მუხლით გათვალისწინებულ პირგასამტეხლოს დარიცხვას.

7.5 ,,შემსყიდველი" უფლებამოსილია ფაქტიურად შესრულებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურებისას გამოქვითოს (შეამციროს ანაზღაურება) ამ მუხლით გათვალისწინებული და "მიმწოდებელზე" დარიცხული პირგასამტეხლოს თანხა ,,მიმწოდებლისათვის" გადასახდელი თანხის ოდენობიდან. აღნიშნული გამოქვითვა არ შეიძლება გახდეს ,,მიმწოდებლის" მხრიდან ,,შემსყიდველისათვის" 7.3 პუნქტით გათვალიწინებული პირგასამტეხლოს დარიცხვის საფუძველი.

სსე-სათვის პრეისკურანტით ა/მანქანა სახ.№HG220GH VW Multivan 2,0 TDI 4Motion-ის საგარანტიო ტექნიკური მომსახურება (სერვისი სათადარიგო ნაწილებით) შესყიდვა. ,,მიმწოდებელი" შპს „იბერია ავტო"

7.6 წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების სრულად არშესყიდვის შემთხვევაში "შემსყიდველს" პასუხისმგებლობა არ ეკისრება.

VIII. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1"მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს "შემსყიდველი" კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ "შემსყიდველი" კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მისი შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით "შემსყიდველი".

8.2 "მიმწოდებელი" ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

8.3 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს "მიმწოდებელს" მოცემული ხელშეკრულების ვალდებულებებისაგან.

8.4ხელშეკრულების შესრულების კონტროლს "შემსყიდველის" მხრიდან უზრუნველყოფს სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" ტრანსპორტის მონიტორინგის და სერვისის განყოფილების უფროსი დავით თევდორაშვილი.

8.5 კონტროლი განხორციელდება გაწეული ტექნიკური მომსახურების (სერვისი სათადარიგო ნაწილებით) ხარისხისა და მომსახურების გაწევის ვადის შესაბამისობით ხელშეკრულების პირობებთან.

IX. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

9.1 მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება ეტაპობრივად, დეფექტური აქტის საფუძველზე ფაქტიურად შესრულებული მოცულობის მიხედვით ავტომანქანა (სახ.№HG220GH VW Multivan 2,0 TDI 4Motion) გაწეულ ტექნიკურ მომსახურებაზე (სერვისი სათადარიგო ნაწილებით).

9.2 "მიმწოდებლის" მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 8.4 ქვეპუნქტით განსაზღვრული პირი ამოწმებს გაწეული მომსახურების შესაბამისობას წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან. ხარვეზების არ არსებობის შემთხვევაში ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი ფაქტიურად გაწეულ მომსახურებაზე.

9.3 წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურება მიღებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისთანავე.

X. ფორს-მაჟორი

10.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მათ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით და სხვა. ფორს – მაჟორის არსებობის საკმარის დამადასტურებელ საბუთად მხარეები განიხილავენ შესაბამისის ქვეყნის სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ გაცემულად სათანადო ცნობას.

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

XI. ურთიერთობა მხარეებს შორის

11.1 ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით, რომელიც ხელმოწერილი უნდა იყოს ხელმძღვანელობაზე ან/და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ. ოპერატილი კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ელ. ფოსტით (წერილის სკანირებილი ვარიანტი) ან ფაქსის გაგზავნის გზით, შემდგომში ორიგინალის მიწოდების პირობით.

- სსე-სათვის პრეისკურანტით ა/მანქანა სახ.№HG220GH VW Multivan 2,0 TDI 4Motion-ის საგარანტიო ტექნიკური მომსახურება (სერვისი სათადარიგო ნაწილებით) შესყიდვა. ,,მიმწოდებელი" შპს „იბერია ავტო"

11.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

XII. ხელშეკრულების პირობების შეცვლა და/ან ვადამდე მოშლა

12.1 ამ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება და/ან დამატება შეიძლება შეტანილი იქნეს მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

12.2. ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე მოიშალოს:

12.2.1. მხარეთა შეთანხმებით;

12.2.2. ერთ-ერთი მხარის განცხადებით მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების არსებითად დარღვევის შემთხვევაში;

12.3 "შემსყიდველს" შეუძლია ხელშეკრულება ვადამდე შეწყვიტოს:

12.3.1. თუ "შემსყიდველისათვის" ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

12.3.2. "შემსყიდველის" გადახდის უუნარობის დადგენის შემთხვევაში;

12.3.3. თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ "მიმწოდებლის" მიერ მოწოდებული ინფორმაცია ხელშეკრულების საგნის შესახებ ყალბი აღმოჩნდება, რაც წარმოადგენს, ,,შემსყიდველის" მხრიდან ნდობის დაკარგვის საფუძველს.

12.3.4. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12.4 ამ ხელშეკრულების 12.3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში "შემსყიდველი" ვალდებულია აუნაზღაუროს "მიმწოდებელს" ფაქტიურად მიღებული მომსახურების ღირებულება.

12.5 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა. ამასთან, ასეთ შემთხვევაშიც დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

XIII. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

13.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

13.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

XIV. დავათა განხილვა

14.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა მოლაპარაკებების მეშვეობით, შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

14.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში მხარეები ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

XV. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

15.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და ხელშეკრულების მოქმედების ვადა ამოწურულად ჩაითვლება მხარეებს შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებისთანავე მაგრამ არაუგვიანეს 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

XVI. ხელშეკრულების სხვა პირობები

16.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე.

16.2 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელ შემთხვევებში, მხარეები მოქმედებენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.

16.3 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები შესასრულებლად სავალდებულოა მხარეთათვის და მათი შესაბამისი სამართალმემკვდრეებისა და უფლებამონაცვლე-თათვის. დაუშვებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების გადაცემა სხვა მხარისათვის მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

XVII. მხარეთა რეკვიზიტები

“შემსყიდველი”:	“მიმწოდებელი”:
სსს“საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა”	შპს ”იბერია ავტო”
ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ.#2	ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-15 კმ. ტელ.: 2 24 11 11
საიდ. კოდი: 204995176	საიდ.კოდი: 236098129
ს/ს ,,თიბისი ბანკი”	სს ვითიბი ბანკი საქართველო
ბანკის კოდი: TBCBGE22	ბანკის კოდი: UGEBGE22
ანგარიშის №GE02TB0600000102467636	ანგარიში № GE92VT7000000000088888
დავით ვარდიაშვილი მმართველთა საბჭოს წევრი	ალექსანდრე ხუციშვილი დირექტორი

LLC Iberia Auto

Digitally signed by LLC Iberia Auto
Date: 2019.02.12 12:41:59 +04'00'

სსე-სათვის პრეისკურანტით ა/მანქანა სახ.№HG220GH VW Multivan 2,0 TDI 4Motion-ის საგარანტიო ტექნიკური მომსახურება (სერვისი სათადარიგო ნაწილებით) შესყიდვა. „მიმწოდებელი" შპს „იბერია ავტო"

დანართი #1,

ფასების ცხრილი

ავტომანქანა VW Multivan 2,0 TDI 4Motion ავტომატური გადაცემათა კოლოფით, სახ. ნომერი: **HG-220-GH** VIN კოდი: **WV2ZZZ7HZHH085344**

ფასების ცხრილი #1

სერვისის რეგლამენტით გათვალისწინებული ექსპლოატაციის შემთხვევაში ჩასატარებელი სარემონტო სამუშაოების ნუსხა 30 000 კმ.-ზე

N	ნაწილების დასახელება	ჩასატარებელი მომსახურებები კილომეტრაჟის მიხედვით (0 - 30 000 კმ)		
		10 000	20 000	30 000
1	ძრავში ზეთის შეცვლა	463	463	463
2	ჰაერის ფილტრის შეცვლა		85	
3	საწვავის ფილტრის შეცვლა		262	
4	კონდენციონერის ფილტრის შეცვლა		103	
5	ავტომობილის სრული ინსპექცია (სხვადასხვა კვანძების შემოწმება)			48
6	ელ. სისტემის დიაგნოსტიკა			24
7	სავალი ნაწილის ტესტირება			12

ფასების ცხრილი #2

N	მომსახურების დასახელება	საქონლის დასახელება	საქონლის ღირებულება დღგ-ს ჩათვლით (ლარი)	მომსახურების ღირებულება დღგ-ს ჩათვლით (ლარი)	ჯამური ღირებულება დღგ-ს ჩათვლით (ლარი)
1	2	3	4	5	6
1	ძრავის ზეთი სინთეტიკური ორიგინალი 1ლ. (**5W30**, ჩამოსასხმელი)	საპოხი მასალა	**56,00**	**-**	**56,00**
2	ზეთის ფილტრი	ფილტრები	**59,00**	**12,00**	**71,00**
3	ძრავის ღვედის და დამჭიმი გორგოლაჭების შეცვლა (კომპლექტი)	ძრავი	**676,00**	**150,00**	**826,00**
4	ჰაერის ფილტრის შეცვლა	ფილტრები	**73,00**	**12,00**	**85,00**
5	საწვავის ფილტრის შეცვლა	ფილტრები	**232,00**	**30,00**	**262,00**
6	კონდენციონერის ფილტრის შეცვლა	ფილტრები	**85,00**	**18,00**	**103,00**
7	დინამოს ღვედის შეცვლა	ძრავი	**84,00**	**24,00**	**108,00**
8	დინამოს ღვედის და დამჭიმი გორგოლაჭების შეცვლა (კომპლექტი)	ძრავი	**365,00**	**66,00**	**431,00**
9	ჰალდექსის სიტემის ზეთი 1ლ.	საპოხი მასალა	**175,00**	**24,00**	**199,00**
10	ანტიფრიზი 1,5 ლიტრი	საპოხი მასალა	**44,00**	**36,00**	**80,00**
11	სამუხრუჭე სითხის შეცვლა 1ლ.	საპოხი მასალა	**44,00**	**36,00**	**80,00**
12	საჭის ჰიდრავლიკური სისტემის ზეთი 1ლ.	საპოხი მასალა	**53,00**	**36,00**	**89,00**

13	ავტომობილის სრული ინსპექცია		-	48,00	48,00
14	ელ. სისტემის დიაგნოსტიკა		-	24,00	24,00
15	სავალი ნაწილის ტესტირება		-	12,00	12,00
16	წინა ხუნდები	მუხრუჭები	566,00	30,00	596,00
17	უკანა ხუნდები	მუხრუჭები	303,00	30,00	333,00
18	წინა საყრდენი დისკი	მუხრუჭები	463,00	24,00	487,00
19	უკანა საყრდენი დისკი	მუხრუჭები	269,00	36,00	305,00
20	საბურავის მოხსნა/დაყენება, დაშლა/აწყობა	ვულკანიზაცია	-	6,00	6,00
21	საბურავის ბალანსირება	ვულკანიზაცია	-	6,00	6,00
22	საბურავის შეკეთება	ვულკანიზაცია	-	12,00	12,00
23	რაზვალის გასწორება	სავალი ნაწილი	-	48,00	48,00
24	გაბარიტის ნათურა	ელექტროობა	8,00	6,00	14,00
25	დამცველი	ელექტროობა	2,00	6,00	8,00
26	მინის საწმენდი რეზინების კომპლექტი	სალონი და ძარა	147,00	12,00	159,00
27	ჭვარტლის ფილტრი	ძრავი	5 281,00	128,00	5 409,00
28	ჭვარტლის ფილტრის რეგენერაცია	ელექტროობა	-	120,00	120,00
29	ელ. მომსახურება 1 სთ	ელექტროობა	-	66,00	66,00
30	საქარე მინის ყინვაგამძლე სითხე (კონცენტრატი) 1ლ.	სითხეები	15,00	-	15,00
31	გადაცემათა კოლოფის ზეთი 1ლ.	საპოხი მასალა	94,00	-	94,00
32	გადაცემათა კოლოფის ფილტრი	კოლოფი	74,00	72,00	146,00
33	გადაცემათა კოლოფის შუასადები	კოლოფი	8,00	72,00	80,00
34	წინა ამორტიზატორი	სავალი ნაწილი	522,00	126,00	648,00
35	უკანა ამორტიზატორი	სავალი ნაწილი	464,00	54,00	518,00
36	ყუმბარა გარეთა	სავალი ნაწილი	1 546,00	80,00	1 626,00
37	ყუმბარა შიდა	სავალი ნაწილი	1 340,00	80,00	1 420,00
38	ყუმბარის პილნიკი (შიდა)	სავალი ნაწილი	128,00	80,00	208,00
39	უდარნი ტიაგა (ნაკანეჩნიკით)	სავალი ნაწილი	348,00	33,00	381,00
40	სტერჟინი წინა	სავალი ნაწილი	181,00	24,00	205,00
41	უკანა მშრალი ამორტიზატორის რეზინი	სავალი ნაწილი	36,00	24,00	60,00
42	ნაკანეჩნიკი	სავალი ნაწილი	188,00	33,00	221,00
43	წინა ამორტიზატორის ბალიში	სავალი ნაწილი	60,00	126,00	186,00
44	წინა ამორტიზატორის საკისარი	სავალი ნაწილი	52,00	126,00	178,00
45	უკანა გიტარის ვტულკა დიდი	სავალი ნაწილი	39,00	138,00	177,00
46	უკანა გიტარის ვტულკა პატარა	სავალი ნაწილი	39,00	138,00	177,00
47	ძრავის კარტერის ბოლტი	სავალი ნაწილი	8,00	6,00	14,00
48	ძრავის კარტერი	სავალი ნაწილი	594,00	350,00	944,00
49	ძრავის კარტერის გერმეტიკი	სავალი ნაწილი	56,00	-	56,00
50	ძრავის ქვედა დამცავი ფარი	სავალი ნაწილი	771,00	20,00	791,00
51	ძრავის ქვედა დამცავი ფარის სამაგრი ბოლტი	სავალი ნაწილი	2,00	-	2,00
52	სტუპიცის საკისარი წინა	სავალი ნაწილი	645,00	72,00	717,00
53	სტუპიცის საკისარი უკანა	სავალი ნაწილი	758,00	86,00	844,00
54	შარავოი	სავალი ნაწილი	153,00	46,00	199,00
55	გიტარა	სავალი ნაწილი	1 253,00	46,00	1 299,00
56	ძრავის ბალიში (წინა)	სავალი ნაწილი	132,00	60,00	192,00

სსე-სათვის პრეისკურანტით ა/მანქანა სახ.№HG220GH VW Multivan 2,0 TDI 4Motion-ის საგარანტიო ტექნიკური მომსახურება (სერვისი სათადარიგო ნაწილებით) შესყიდვა. ,,მიმწოდებელი" შპს „იბერია ავტო"

57	კოლოფის ბალიში	სავალი ნაწილი	245,00	126,00	371,00
58	ყუმბარის პილნიკი (გარე)	სავალი ნაწილი	120,00	80,00	200,00
59	წინა მშრალი ამორტიზატორის რეზინი	სავალი ნაწილი	31,00	48,00	79,00
60	წყლის ტუმბო	ძრავი	221,00	126,00	347,00
61	თერმოსტატი	ძრავი	145,00	85,00	230,00
62	კონდენციონერის გაზი (ფრეონი) 100 გრ.	სითხეები	15,00	-	15,00
63	ფრეონის ამოტუმბვა - ჩატუმბვა (ნებისმიერი რაოდენობა)	ძრავი	-	24,00	24,00
64	რაზვალნი ვტულკა (წინა)	სავალი ნაწილი	48,00	59,00	107,00
65	რაზვალნი ვტულკა (უკანა)	სავალი ნაწილი	48,00	59,00	107,00
66	წინა ამორტიზატორის ატბოინიკი	სავალი ნაწილი	71,00	126,00	197,00
67	ძრავის ბალიში (უკანა)	სავალი ნაწილი	289,00	86,00	375,00
68	კარდნის საკიდი	სავალი ნაწილი	572,00	120,00	692,00
69	უკანა ზამბარის სადები	სავალი ნაწილი	24,00	60,00	84,00
70	უკანა ხიდის ვტულკა	სავალი ნაწილი	91,00	38,00	229,00
71	უკანა ზამბარა	სავალი ნაწილი	415,00	60,00	475,00
72	წინა ზამბარის ჩაშკა	სავალი ნაწილი	139,00	126,00	265,00
73	ამორტიზატორის დამცავი ჩიხოლი	სავალი ნაწილი	25,00	126,00	151,00
74	აკუმულატორი	ელექტროობა	878,00	12,00	890,00
75	გვერდითა კარის საკეტი	სალონი და ძარა	624,00	83,00	707,00
76	გვერდითა კარის პეტლი	სალონი და ძარა	463,00	83,00	546,00
77	გასაწევის კარის ფიქსატორი	სალონი და ძარა	463,00	83,00	546,00

სახელშეკრულებო ღირებულება დღგ-ს ჩათვლით შეადგენს 5000 (ხუთი ათასი) ლარი დღგ–ს ჩათვლით ლარს. პრეისკურანტის საერთო ღირებულება შეადგენს 30001(ოცდაათი ათას ერთი) ლარს დღგ–ს ჩათვლით.

"შემსყიდველი":
სს"საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"
დავით ვარდიაშვილი
მმართველთა საბჭოს წევრი

"მიმწოდებელი":
შპს "იბერია ავტო"
ალექსანდრე ხუციძე
დირექტორი

JSC Georgian State Electrosystem
Digitally signed by JSC Georgian State Electrosystem
Date: 2019.02.12 12:58:33 +04'00'

LLC Iberia Auto
Digitally signed by LLC Iberia Auto
Date: 2019.02.12 12:42:49 +04'00'